

განმარტებითი ბარათი
სამოქალაქო კოდექსში ცვლილებისა და დამატებების შეტანის
თაობაზე კანონპროექტთან დაკავშირებით

საკანონმდებლო ინიციატივა მიზნად ისახავს მომხმარებელთა უფლებების დაცვას ტურისტული მომსახურების გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამ მიზნით, ცვლილება და დამატებები შედის სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნის (ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილი) პირველი კარის (სახელშეკრულებო სამართალი, ნაწილი მეორე) მეთერთმეტე თავში.

პროექტს საფუძვლად დაედო “პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეთანხმების” 43-ე მუხლის თანახმად ქვეყანაში შემუშავებული საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან პარმონიზაციის ეროვნულ პროგრამაში გაწერილი მოთხოვნები და რეკომენდაციები. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფერო აღნიშნული პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი სექტორია. ამასთან, აღნიშნული სფეროს დამუშავების დრო და პერიოდი გაწერილია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან პარმონიზაციის სამოქმედო გეგმაში.

პროექტზე მუშაობის პროცესში შესწავლილ და გამოყენებულ იქნა ევროკავშირის დირექტივა (90/314), საერთაშორისო ხელშეკრულებები, არსებული პრაქტიკა.

ტურიზმის სექტორი ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასთან, ბიუჯეტის ზრდასთან, ხოლო გლობალურ მასშტაბში – საკურორტო ქვეყნის იმიჯის შექმნა-დამკვიდრებასთან, ინვესტიციების მოზიდვასთან, ქვეყნის შიგნით აღნიშნული საქმიანობით დაკავებული სუბიექტების დახვეწასთან, ნაციონალური საკურორტო ადგილების განვითარებასთან და ა.შ.

ტურიზმის განვითარება ითხოვს ერთიანი სტანდარტების შემუშავებას და მკვეთრი განსხვავების მოშლას სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობებს შორის, რაც პირდაპირ კავშირშია ფიზიკური პირების, ანუ ტურისტების გარანტიებთან, მიუხედავად მათი ადგილსამყოფელისა. საჭიროა ისეთი მომწესრიგებელი ნორმების შემუშავება და მიღება, რომლებიც ხელს შეუწყობს ჯანსაღი და კეთილსინდისიერი ტურისტული ორგანიზაციების ფუნქციონირებას. ეს, თავის მხრივ, დაკავშირებულია არა მხოლოდ ტურის ორგანიზებასთან, არამედ მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან.

აღნიშნულ სფეროში დღეს არსებული პრაქტიკა სავსეა არასახარბიელო მაგალითებით, რაც გამოწვეულია არასრულყოფილი სამართლებრივი ბაზით და მოგზაურობის მომწიობთა მიმართ დაწესებული მინიმალური მოთხოვნებით. აღნიშნული, საბოლოო ჯამში, ნეგატიურად აისახება

ტურისტთა მდგომარეობაზე, რომლებიც ხშირად მოტყუებულნი რჩებიან ტურის ორგანიზატორთა მხრიდან არასათანადოდ ინფორმირების და შესაბამისი გარანტიების მიუღებლობის გამო. თავის მხრივ, მსგავსი ფაქტები ქმნის ბევრ უხერხულობას მიმღებ ქვეყნებთან ურთიერთობაშიც.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, პროექტის მიღება მოემსახურება არსებული ნეგატიური პრაქტიკის აღმოფხვრას, კეთილსინდისიერი ტურისტული ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას და, რაც მთავარია, თითოეული ტურისტის უფლებების დაცვას.

საკანონმდებლო ინიციატივის მიღება არ იწვევს დამატებით ხარჯს ბიუჯეტიდან.

კანონპროექტის ავტორი და ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი დავით ბაქრაძე.